ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#4

27 მაისი 2020 წელი

ქ.ბაღდათი 11.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გვანცა გრძელიძე
ვლადიმერ წიქორიძე
გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
შალვა დათუაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის გაყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძე

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი: ნინო მშვილდაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მომხს. ლერი გუმბერიძე, თანამომხსენებელი გივი კობერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის გაყოფილების უფროსმა: ვაჟა ჯუღელმა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა სოფ. ვარციხეში ანანოვების სახლის გაყიდვიდან 33.000ლარით ნაკლები შემოსავალი მივიღეთ და ეს თუ არის დაზუსტებული, როგორც ჩემთვის ცნობილია და გავრცელდა ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებიდან ანანოვების სახლი გაიყიდა 1.375.000ლარად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო დაგეგმვის ანალიზის და კონტროლის გაყოფილების უფროსი: ვაჟა ჯუღელმა უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ რეალურად ეს თანხა გაივლის ხაზინის კოდს და ჩვენგან დამოუკიდებლად ჯდება სახაზინო ანგარიშზე და გასაგებია მთლიანი თანხის 35% უნდა იყოს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძემ განაცხადა, რომ სოფ. ვარციხეში ანანოვების სახლი გაიყიდა 1.278.750ლარად და ჩარიცხვა თანხის არის პროცენტული ჩარიცხვის შესაბამისი, რაც ხაზინის პროგრამაში გადამოწმებით ირკვევა. შესაბამისად რიგი

საინფორმაციო საშუალებებში დასახელებული გაყიდვის თანხა 1.375.000ლარი არ შეესაბამებოდა ხაზინის ოფიციალურ მონაცემებს.

კომისიის წევრი: ვლადიმერ წიქორიძემ კითხვით მიმართა მარეხი მშვენიერაძეს, თუ იქნება ახალი სადაზღვევო კომპანიის შემოსვლა და შესაბამისად ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა ვლადიმერ წიქორიძეს, რომ ჯერ-ჯეროობით არ არის შემოსული დაზღვევის მიმართულებით ახალი ორგანიზაცია, მიდის საუბარი ამ მიმართულებით

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა გივი კობერიძეს, რომ არიან ოჯახები რომელთაც დავეხმარეთ სხვადასხვა სახის სარემონტო მასალებით და დიდი დროის მანძილზე ვერ ახერხებენ ამ მასალათა გამოყენებას და დაზიანებული სახლების აღდგენას ეს მასალებიც ზიანდება რა რეკომენდაციებს ვაძლევთ ამ შემთხვევაში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძემ უპასუხა გურამ კიკნაველიძეს ზოგიერთ შემთხვევაში სარემონტო მასალების გამოყენება ვერ ხერხდება ვინაიდან ზოგმა მათგანმა ვეღარ შეძლო უზრუნველეყო გადაცემული მასალების დამონტაჟება მაგალითად სახურავის გადახურვას ვერ აკეთებს და არის მომართვა გადავადებაზე, დროულად უნდა დასრულდეს, მაგრამ ვერ აკეთებს და ამ მასალების უკან წამოღება რამდენად მიზანშეწონილია ცალკეულ შემთხვევებში, რთული სათქმელია

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6 წინააღმდეგი:0

კენჭისყრის პროცესს არ ესწრებოდნენ:
1.გურამ ჩხეიძე
2.შალვა დათუაძე
3.ვლადიმერ წიქორიძე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე